

როგორ მოვემზადოთ ზიარებისათვის



წმინდა ზიარებისათვის მომზადება მოიცავს შემდეგს:

- ზიარების წინ უნდა ვიმარხულოთ;
- ზიარების წინააღმდეგ დავესწროთ საღამოს ღვთისმსახურებას;
- წავიკითხოთ დადგენილი ლოცვითი კანონი (ზიარების წინა ლოცვები);
- თავი შევიკავოთ საჭმელ-სასმელის მიღებისაგან თვით ზიარების დღეს, ანუ ზიარება უნდა მივიღოთ აუცილებლად უზმოზე;
- მღვდელმა აღსარების ჩაბარების შემდეგ ნება უნდა დაგვრთოს – კურთხევა მოგვცეს ზიარებისა;
- ზიარების დღეს უნდა დავესწროთ საღვთო ლიტურგიას.

ჯერ განვიხილოთ, თუ როგორ უნდა აღასრულონ ეს პირობები ზრდასრულმა მორწმუნეებმა, შემდეგ კი დავაზუსტოთ, თუ რა იცვლება მათში ბავშვებთან მიმართებაში.

მარხვის შენახვა ზიარების წინ ეკლესიის მიერ იმისთვის არის დადგინებული, რომ მორწმუნეებს შეეძლოთ განწმენდილი სულითა და სხეულით მიეახლონ ამ წმინდა საიდუმლოს. თუ როგორი იქნება ეს მარხვა (იგულისხმება მარხვის სიმკაცრეც და დღეების რაოდენობაც) ამას საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად შეურჩევს

დაარღვიოთ საეკლესიო წესდებულება – და სხვა დღისათვის გადადოთ ზიარების მიღება.

წყარო: წიგნი “ეკლესიის საუნჯე”

შემდგენელი: დავით შონვაძე

— ambioni.ge